



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #003/14 გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი ზაურ ხარატი

ფაქტები

გ. კ.-ს, როგორც ქონების მესაკუთრეს და ადვოკატ ნ. დ.-ს შორის გაფორმებულია ორი ხელშეკრულება, მათ შორის ერთი ნოტარიული სახით, გაფორმებული ნოტარიუს ნ. მ.-ს მიერ 2008 წლის 09 დეკემბერს, რითაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭებოდა ადვოკატ ნ. დ.-ს და მეორე 2008 წლის დეკემბრის თვეში უთარილო ხელშეკრულებით, რომელსაც ხელს აწერს გ. კ. და ადვოკატი ნ. დ., რითაც განსაზღვრული იყო ადვოკატისა და კლიენტის უფლება-მოვალეობები, მათ შორის ჰონორარის გადახდის საკითხი. კასატორებსა და გ. კ.-ს შორის შეთანხმების საფუძველზე შეწყდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის წარმოება, რადროსაც ადვოკატ ნ. დ.-ს უკვე შეწყვეტილი ჰქონდა უფლებამოსილება ნოტარიუს ნ. მ.-ს მიერ მინდობილობის გაუქმების შესახებ სანოტარო აქტით. გ. კ.-ს ადვოკატ ნ. დ.-ს მეუღლეზე მ. დ.-ზე გაყიდული აქვს თავის საკუთრებაში დატოვებული 35.00 კვ.მ. ფართის იდეალური წილი 1/2-ის ოდენობით, რაშიც მიღებული აქვს 25 000 ლარი.

პროცესუალური ისტორია

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა გ.კ-მ (წარმომადგენელი ქ.ი) და მოითხოვა ადვოკატ ნ.დ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2014 წლის 12 მარტს მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ.დ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

სამართლებრივი ანალიზი

წარმომადგენელმა თუ არა ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები კლიენტის მოტყუებას? (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი). მოწმის სახით დაკითხულმა გ. კ.-მ დაუდასტურა კოლეგიას, რომ მიმდინარეობდა მორიგების თაობაზე მხარეთა შორის საუბარი, თუმცა შედგა ნასყიდობის ხელშეკრულება. კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას, რომ თითქოსდა გ. კ. მოატყუა ნ. დ.-მ, ვინაიდან გ. კ.-მ ჯერ გაასხვისა 15 კვ.მ. გ. მ.-სა და მ. ს.-ზე 2011 წლის 15 აპრილს, რის შემდეგაც მას საკუთრებაში დარჩა 35.00 კვ.მ. ფართი. შესაბამისად, 2008 წლის დეკემბერს ადვოკატ ნ. დ.სა და გ. კ.-ს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, დავის დასრულებისას უნდა გადაეცა ადვოკატისათვის 50 კვ.მ. ფართის ნახევარი, თუმცა დავა ჯერ დასრულებული არ იყო. მან ფართი 2012 წლის 15 აპრილს გაასხვისა გ. მ.-სადა მ. ს.-ზე, ხოლო 35.00 კვ.მ. ფართის 1/2½ წილი კი მ. დ.-ზე, რის შემდეგაც 2011 წლის 05 მაისს შეუწყვიტა ნოტარიული მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება ადვოკატ ნ. დ.-ს და უზენაეს სასამართლოში ისე დამთავრდა დავა 2011 წლის 21 ივნისს, რომ ადვოკატი უფლებამოსილი არ იყო წარმოედგინა გ. კ. ამ ფაქტის შესაბამისად სახეზეა კლიენტის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ფაქტი. მიუხედავად ამ გარემოებისა 2012 წლის 21 თებერვალს მ. დ.-მ და გ. კ.-მ #--- განცხადების რეგისტრაციის ნომრით გამიჯნეს კუთვნილი ფართები, სადაც მიეთითება, რომ გ. კ.-ს დავის დასრულებისათვის დარჩა არა 50.00 კვ.მ. ფართი, არამედ 14 კვ.მ. ფართი და 2,28 კვ.მ. ფართის ნახევარი, თუმცა მის მიერ სასყიდლიანი გარიგების საფუძველზე გასხვისებული იქნა 32.5 კვ.მ. ფართი. შესაბამისად ხსენებული გარემოებებისა, კოლეგიას მიაჩნია, რომ 2011 წლის 5 მაისს კლიენტის გ. კ.-ს მიერ ცალმხრივად მოხდა ხელშეკრულების შეწყვეტა ნ. დ.-სათვის და ამ თარიღის შემდგომ გ. კ.-სა და დავაში



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

**NEW VISION
UNIVERSITY**

**EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE**
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

მოწინააღმდეგე მხარეებს შორის ადვოკატის გარეშე შედგა შეთანხმება, რაც გვადლევს იმ დასკვნის საფუძველს, რომ ნ. დ.-ს მხრიდან კლიენტის მოტყუებას არ ჰქონია ადგილი. ადვოკატის მიერ კლიენტის მოტყუებას ადგილი არ ჰქონია.

მოქმედებდა თუ არა ადვოკატი კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ? ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი. გ.კ.-მ და საჩივრის ავტორმა ქ. ი.-მ ვერ დაუდასტურეს განხილვის კოლეგიას, რომ გ.კ.-ს არ სურდა საქმის მორიგება, ვინაიდან მოწმის სახით დაკითხულმა მოწინააღმდეგე მხარეების ადვოკატმა გ. კ.-მ დაუდასტურა კოლეგიას, რომ ფაქტიურად გადაწყვეტილებას დავის თაობაზე იღებდა საჩივრის ავტორის ქ. ი.-ს მითითებით ადვოკატი ნ. დ. და არა გ. კ., რომელიც პროცესებში ნაკლებად ერეოდა. რაც შეეხება გ. კ.-ს, მან კოლეგიას ვერ დაუდასტურა და საქმეში წარმოდგენილი არ არის რაიმე მტკიცებულება, რომ სამართლებრივად მას სურდა დავის გაგრძელება და არა მხარეთა შორის მორიგება, ვინაიდან ვიდრე საქმის წარმოება დასრულდებოდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, ფაქტიურად მან გამოხატა ნება და თავისი ნებით გაასხვისა სადავო ფართიდან 15.00 კვ.მ. მოწინააღმდეგე მხარეზე მ. ს.-სა და გ. მ.-ზე – ასევე მოწინააღმდეგე ვ. მ.-ის შვილზე. შესაბამისად, კოლეგიას არ შეექმნა შთაბეჭდილება, რომ გ. კ.-მ, რომელმაც საადვოკატო მომსახურეობის თაობაზე გარიგება დაუდო ადვოკატ ნ. დ.-ს, რომელთანაც შეთანხმდა ჰონორარის გადახდას მოახდენდა ნატურით სადავო ფართის ნახევარზე საკუთრების უფლების გადაცემით და ამავე ფართიდან დავის დასრულებამდე 2011 წლის აპრილის თვეში ასხვისებდა ფართებს დავაში მონაწილე მხარეებზე საკუთარი ნებით, რომ მას არ სურდა მორიგებით საქმის დამთავრება. იურიდიულად ხელი მოწერილი აქვს გ. კ.-ს ნასყიდობის ხელშეკრულებებზე და ეს ხელშეკრულებები შედგენილია სწორედ იმ თარიღამდე, 2011 წლის 05 მაისამდე, ვიდრე გაუუქმებდა ადვოკატს ნოტარიულ მინდობილობას, რაც ფაქტობრივად გამორიცხავდა ადვოკატის სასამართლოში მის წარმომადგენლად მონაწილეობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე და 98-ე მუხლების საფუძველზე. ადვოკატი კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ არ მოქმედებდა.

დასკვნა

ადვოკატ ნ. დ.-ს არ დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა.